ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 11

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 20 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ბიუჯეტის შესახებ
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ბიუჯეტის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტი საბჭოს წინა სხდომაზეც იქნა განხილული. ბატონმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს კვლავ შეახსენა, რომ ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 311425 ლარითაა შემცირებული, რის გამოც იძულებული ვართ შევამციროთ დანახარჯები ნაკლებად პრიორიტეტული მიმართულებებით. როგორც საბჭოს წინა სხდომაზე ერთობლივი მსჯელობით შევთანხმდით, თანხის დაზოგვა მოხდება არსებული ვაკანსიების დროებით „გაყინვით", წარმომადგენლობითი ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით. რეაქტივებისა და სხვა სასწავლო მასალების შესაძენად და თანამშრომელთა მივლინებებისთვის გამოყოფილი თანხა იგივე დარჩა. თითქმის იგივე დარჩა სტუდენტთა პრაქტიკებისთვის და მივლინებებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ. მან აღნიშნა, რომ თსუ რექტორატი უნდა ითვალისწინებდეს დარგის პრიორიტეტულობას და ყველა ღონეს უნდა ხმარობდეს, რათა დაფინანსების მხრივ სიტუაცია არ გაუარესდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა გურამ ქუთელიამ ისაუბრა სასწავლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ. კერძოდ:

ცვლილება საბაკალავრო პროგრამაში „მათემატიკა“. მათემატიკის სპეციალობის არჩევით ბლოკს „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“ უნდა დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებები“ (Applications of Mathematical Statistics). სანაცვლოდ არ გააქტიურდება ამ ბლოკის არსებული არჩევითი კურსი - „სტატისტიკურ შეფასებათა თეორია“, რომლის ლექტორიც გარდაცვლილია. საკონტაქტო საათების განაწილება არ იცვლება.

ცვლილება სამაგისტრო პროგრამაში "გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება". მეორე სემესტრში უნდა დაემატოს არჩევითი კომპონენტი საველე პრაქტიკა - „ტურიზმის მდგრადი განვითარება ტრანსდისციპლინური მიდგომით“ 5 სტუდენტისათვის, რომლებიც შეირჩევიან საკონკურსო წესით“. საველე პრაქტიკას დააფინანსებს ვენის უნივერსიტეტი 2018 და 2019 წლებში. შესაბამისად, საველე პრაქტიკა გააქტიურდება 2018 და 2019 წლებში.

ცვლილებები სამაგისტრო პროგრამაში „ქიმია“. მე-3 და მე-7 მოდულების საერთო სავალდებულო სასწავლო კურსი „ატმოსფერული ჰაერისა და გამონაბოლქვი აირების ანალიზი“ მე-7 მოდულში არის განსხვავებულ სემესტრში, რაც იწვევს ორივე სემესტრში სასწავლო კურსის გააქტიურებას. ზემოაღნიშნული სასწავლო კურსი მე-7 მოდულში გადატანილ უნდა იქნას მესამე სემესტრიდან მეორე სემესტრში, რადგან მე-3 მოდულში იგი აქტიურდება გაზაფხულის სემესტში. ამის სანაცვლოდ, მეორე სემესტრის 2 არჩევითი სასწავლო კურსი: 1. „გარემოს მონიტორინგი და სერტიფიცირება“ და 2. „წონასწორული პროცესები ბუნებრივ წყლებში“ გადატანილ უნდა იქნას მესამე სემესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სასწავლო პროგრამებში აღნიშნული ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი ცვლილებები სასწავლო პროგრამებში:

საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკის“ სტატისტიკის არჩევით ბლოკს დაემატოს ახალი არჩევითი საგანი "მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებები" (ძველი "სტატისტიკურ შეფასებათა თეორიის" ნაცვლად);

შევიდეს ცვლილება საველე პრაქტიკის სილაბუსში. საველე პრაქტიკა გათვალისწინებულია საერთაშორისო პროექტის „ტურიზმის მდგრადი განვითარება ტრანსდისციპლინური მიდგომით“ ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წლის მაგისტრატურის პირველ კურსის 5 სტუდენტისათვის და მას მთლიანად აფინანსებს ვენის უნივერსიტეტი (პროექტი ამოქმედდება თანხის ჩარიცხვის შემდეგ);

სამაგისტრო პროგრამა „ქიმიის“ მეშვიდე მოდულში (გარემოს ქიმია) მესამე სემესტრის სავალდებულო საგანი „ატმოსფერული ჰაერისა და გამონაბოლქვი აირების ანალიზი“ გადატანილ იქნას მეორე სემესტრში, ხოლო მეორე სემესტრის ორი არჩევითი საგანი „გარემოს მონიტორინგი და სერტიფიცირება“ და „წონასწორული პროცესები ბუნებრივ წყლებში“ გადატანილ იქნას მესამე სემესტრში.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შესახებ. საბჭოს დებულება დაეგზავნათ საბჭოს წევრებს და საკითხზე მსჯელობა საბჭოს სხდომამდეც მიმდინარეობდა. როგორც ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, ასეთი საბჭოს შექმნის ძირითადი მიზანია თავიდან აიცილონ პლაგიატი სადისერტაციო ნაშრომებში და საბოლოო გადაწყვეტილება ხარისხის მინიჭებაზე ამ საბჭომ მიიღოს. თუმცა, საბჭოს წევრების აზრით, აღნიშნული დებულება საჭიროებს შემდგომ დამუშავებას და სრულყოფას. იდეის ავტორები მზად არიან ითანამშრომლონ აკადემიურ პერსონალთან, რათა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კონსესუსის საფუძველზე მოხდეს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.გამყრელიძემ, დ.ძიძიგურმა, ნ.შათაშვილმა, თ.კერესელიძემ, ა.შენგელაიამ, თ.ლეჟავამ და ა.უგულავამ. ქ-მა დიანამ აღნიშნა, ამის თაობაზე რექტორს დაუსვა შეკითხვა და, როგორც ჩანს, რეალურად დისერტაციის დაცვას მაინც დარგობრივი საბჭოები ჩაატარებს. პროფესორმა თ.კერესელიძემ აღნიშნა, რომ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში სტატი(ებ)ის დაბეჭდვა, რომელიც საფუძვლად დაედება დისერტაციას და რაც აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად, იქნება გარანტი იმისა, რომ ნაშრომი პლაგიატი არ არის. პროფესორმა ა.შენგელაიამ შეახსენა, რომ ასეთი მოთხოვნა მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოებს აქვს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ ადრეც იყო გაერთიანებული საბჭო ფაკულტეტზე და ცუდად არ მუშაობდა. იგი არაა წინააღმდეგი შეიქმნას საატესტაციო საბჭოს მსგავსი ორგანო, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხარისხის მინიჭების შესახებ. პროფესორმა თ.ლეჟავამაც ისაუბრა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების მნიშვნელობის შესახებ. პროფესორმა ა.უგულავამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნას განხილული ისტორიულ კონტექსტში და წინადადებების შემუშავებისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული წინა პერიოდის გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების პირველადი ვარიანტი არსებული ფორმით მიუღებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოსთვის. ფაკულტეტის საბჭო იმუშავებს ამ საკითხზე და რექტორატს მიაწვდის თავის წინადადებებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო მოამზადებს წინადადებებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების საკითხზე და მიაწვდის რექტორატს.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები.

ა) დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რუსუდან ინწკირველმა. მან აღნიშნა, რომ ფიზიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ელექტრული ინჟინერიის სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეებისგან შემოსულია წერილები (ასევე შესაბამისი სადისერტაციო საბჭოების სხდომების ოქმები) დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართები 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

„ფიზიკის" სადოქტორო პროგრამა:

1. დოქტორანტ დავით ხუციშვილს სადისერტაციო თემის ძველი სათაური დაუზუსტდეს და შეეცვალოს შემდეგი სათაურით „მზის სპიკულებში მიმდინარე ფიზიკური პროცესების მრავალმასშტაბიანი დინამიკის შესწავლა";

„მათემატიკის" სადოქტორო პროგრამა:

2. დოქტორანტ ვახტანგ აბაშიძის სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „გლისონის დაფარვის განზოგადებები", ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელად - მამუკა ჯიბლაძე (დოქტორი, თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე);

„გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამა:

1. დოქტორანტ გოჩა გოძუაძეს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს ,,ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკების პირობით ნიშანთა სისტემის უნიფიცირება და გეოინფორმაციული სისტემა", ხოლო ხელმძღვანელად - ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი.
2. დოქტორანტ ზურაბ რიკაძეს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს ,,კოლხეთის დაბლობის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება", ხოლო ხელმძღვანელად - ასისტ. პროფ. გიორგი დვალაშვილი.
3. დოქტორანტ გიორგი ხომასურიძეს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს ,,ქალაქ თბილისის მეტეოროლოგიური პარამეტრების დინამიკა კლიმატის ცვლილების ფონზე", ხოლო ხელმძღვანელად - ასოც. პროფ. ლამზირა ლაღიძე.
4. დოქტორანტ დემეტრე მოდებაძეს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს ,,წყლის ობიექტების ჰიდროლოგიური რეჟიმის გავლენა რეკრეაციაზე", ხოლო ხელმძღვანელებად - პროფ. დავით კერესელიძე და ასისტ. პროფ. გიორგი ბრეგვაძე.

„ელექტრული ინჟინერიის" სადოქტორო პროგრამა:

1. დოქტორანტ ალექსანდრე ტატიშვილს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „საგზაო შუქნიშნების მართვის სისტემის კვლევა და განვითარება", ხოლო ხელმძღვანელად - თსუ ასოცირებული პროფესორი დავით კაკულია;
2. დოქტორანტ დიტო შერგელაშვილს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „მონაცემთა შეგროვებისა და მართვის სისტემის შემუშავება JEDI* პოლარიმეტრისათვის", ხოლო ხელმძღვანელებად - დავით მჭედლიშვილი და ირაკლი ქეშელაშვილი;
3. დოქტორანტ ბადრი ხვიტიას სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „ელექტრო ავტომობილის მაღალი ძაბვის სისტემის მოდელირება ელექტრომაგნიტური თავსებადობის პრობლემების თვალსაზრისით", ხოლო ხელმძღვანელად - სიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, რომან ჯობავა.

დ) საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეექვსე საფაკულტეტო კონფერენციის ჩატარების

თარიღის ცვლილების შესახებ. კერძოდ, კონფერენციის პერიოდში თსუ 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებების მიმდინარეობის გამო მიზანშეწონილი იქნება, თუ კონფერენცია ჩატარდება რამდენიმე დღით გვიან - 2018 წლის 12-15 თებერვალს, ნაცვლად 5-9 თებერვლისა. ამასთან, გეოგრაფიის სექცია მიეძღვნება აკად. ზაურ ტატაშიძის ხსოვნას.

აზრი გამოთქვა: პროფსორმა მ.ხაჩიძემ აღნიშნა, რომ სასურველი იქნება, თუ კონფერენციის სტუდენტ-მონაწილეებზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიცვალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების თარიღი. კონგფერენცია ჩატარდეს 2018 წლის 12-15 თებერვალს, ნაცვლად 5-9 თებერვლისა და გეოგრაფიის სექცია მიეძღვნას აკად. ზაურ ტატაშიძის ხსოვნას.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი